## მე-3 კლასი

მესამე კლასის ტესტის ჯამური ქულაა 100. ტესტში წარმოდგენილია 5 სავარჯიშო და 30 საკითხი. ტესტი შედგება არჩევითპასუხიანი, დახურული დავალებებისგან. ტესტის გამსვლელი ქულაა 35.

### სავარჯიშო 1: ქართული ანბანი, დამარცვლა

ეს სავარჯიშო ამოწმებს მოსწავლის ცოდნას ანბანის, ასოთა თანმიმდევრობის, დამარცვლისა და სიტყვების გადატანის წესების შესახებ.
სავარჯიშო 30 ქულიანია და შედგება 10 საკითხისგან, შესაბამისად, თითოეული საკითხის ქულა არის 3.

**მაგალითი:**
**რომელია ქართული ანბანის მეორე ასო-ბგერა?**
ა) ე ბ) ვ **გ) ბ**

**მაგალითი:**
**რომელი სიტყვაა სწორად დამარცვლილი?**
ა) დილ-ა ბ) თ-ევზი **გ) ღა-მე**

### სავარჯიშო 2: სასვენი ნიშნები

დავალება მიზნად ისახავს მარტივი სასვენი ნიშნების, ასევე უმარტივესი გრამატიკული ნორმების გამოყენების უნარის შემოწმებას.

სავარჯიშო 10 ქულიანია და შედგება 5 საკითხისგან, შესაბამისად, თითოეული საკითხის ქულა არის 2.

მაგალითი:
**რას ვსვამთ კითხვითი წინადადების ბოლოს?**
ა) მძიმეს **ბ) კითხვის ნიშანს** გ) ორწერტილს

### სავარჯიშო 3: სიტყვები და მათი შინაარსი

ამ ნაწილში მოწმდება სიტყვების სწორად აღქმის უნარი, ასევე – მათი მნიშვნელობა. მოსწავლემ უნდა შეძლოს იდეურად დაკავშირებული წყვილის ამოცნობა. სავარჯიშო 20 ქულიანია და შედგება 5 საკითხისგან, შესაბამისად, თითოეულის საკითხის ქულა არის **20**.

**მაგალითი:**
**რომელი წყვილი არ შეესაბამება ერთმანეთს?**
ა) მზე – შუქი ბ) ხე – ფოთოლი **გ) თევზი – ჩიტი**

## სავარჯიშო 4: ნახატის აღწერა

დავალებაში მოცემულია მარტივი საბავშვო ნახატი. მოსწავლემ უნდა შეძლოს მასზე წარმოდგენილი დეტალების აღქმა და გაგება.

სავარჯიშო 40 ქულიანია და შედგება 10 საკითხისგან, შესაბამისად, თითოეული საკითხის  ქულა არის 4.

ტესტის შემდეგ დამატებით მოცემულია **ბონუს სექცია**, რომელიც აერთიანებს 5 შეკითხვას, თითო 5 ქულიანს.
ეს ნაწილი ჩვენი პარტნიორებისგანაა და საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ტესტში დაშვებული შეცდომები აანალიზაროს დამატებითი ქულების საშუალებით.

დამატებით სამეცადინოდ შეგიძლიათ ნახოთ ოლიმპიადისათვის <u>მოსამზადებელი ტესტები.</u>

მოსამზადებელ ტესტებს ოლიმპიადის I ტურის მსგასვი სტრუქტურა აქვს, I ტურის მსგავსად მოსწავლეს ეძლევა 1 საათი ტესტის საწერად და რაც მთავარია, აქვს შესაძლებლობა გადახედოს დაშვებულ შეცდომებს და ოლიმპიადის I ტურზე გაითვალისწინოს/უკეთ მოემზადოს კონკრეტულ საკითხში.